

გაზეთის ფასი

| | | |
|--|-----------|-----------|
| თვილი ფასი და გა- რეპე ადგილობრივი: მაგზავნით | მაგზავნით | 6 მან. |
| ერთი წლის — 7 მან. | — | 6 მან. |
| ნახევარი წლის — 4 — | — | 3 — 50 კ. |
| სამი თვისა — 2 — 50 კ. | — | 2 — |
| ერთი თვისა — 1 — | — | 75 კ. |
| საღვთის ნომრისა | — | 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყველგვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. ასევე განცხადების და მოქალაქის ჩივილები-
ბრძოლის ასობით გაზეთის სტრუქტურაზე და კაპა, ასევე მოთხოვნები
— ასობით 1/2 კაპ.

დროება

ბელის-მოსწავრა მიიღება: **დროების** რედაქციის კანტორაში მიიღება
თვილი ფასი და გა-
რეპე ადგილობრივი: მაგზავნით
ერთი წლის — 7 მან.
ნახევარი წლის — 4 —
სამი თვისა — 2 — 50 კ.
ერთი თვისა — 1 —
საღვთის ნომრისა

საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

წელიწადი 1871 წ.

შინაარსი

განცხადება „პრებულის“ და „დროების“ რედაქციებისადმი. — სიღნაღი („დროების“ კორესპონდენცია). — შერილობა („დროების“ კორესპონდენცია). — ხმა სიღნაღიდან („დროების“ კორესპონდენცია). — მორიადე სიტყვა კათოლიკე სამრევლო „შკოლებზე“. — **სამართალი**: ნიჭიერის საქმე (გაგრძელება). — ბიბლიოგრაფიული განცხადება.

შელოცვა: შუტკარი (შესაძრე თევზი) შეტარისა და ძაზანასი. — სხვა სხვაობა. — ს. წერეთლისა.

„პრებულის“ რედაქციისადმი

„პრებულის“ რედაქცია დიდთ დაბნეულია მკითხველების წინ წიგნების დაგვიანებისთვის. მაგრამ დაგვიანების მიზეზი მასზე დამოკიდებული გარემოება იყო. რედაქციის იმედი ჰქონდა თავთავის- დროზე გამოეშვა „პრებულის“ წიგნები, რადგანაც მის მრამაში ნიად-გ მონაწილეობას იღებდა უფ. სკანდლი; მაგრამ უფ. სკანდელს შინაური გარემოების გამო, თვალის მიტოვება მოუხდა. ესლო რედაქციამ საჭირო ღონისძიება მიიღო, რომ დაგვიანებული წიგნები ერთად გამოეცუს, და ამ წელსვე „პრებულის“ წიგნები დაინიშნულ ვადებზე გამოეყენოს.

ჩვენ ხშირათ მოგვდის სხვა და სხვა მხრით

„პრებულის“ პირველი წიგნის მოთხრობა. ჩვენს საუბედურათ, ჩვენ არც ერთი მკვლევარი აღარა ვგაქვს ამ წიგნისა, ასე რომ იმას ჩვენ „პრებულის“ ხელის მომწერლებსაც ვეღარ ვუგზავნი, არა თუ კერძო მკვლევლებს. მაგრამ, რადგანაც ამ წიგნს ბევრი პირი თხოულობს, ჩვენ მის ხელახლად დაბეჭდვას შეუდგებით, და ამ რი თვის განმავლობაში ვეცდებით გაუგზავნოთ ჩვენ კორესპონდენტებს „პრებულის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემა. მაგრამ „პრებულის“ რედაქცია სთხოვს ყველა, ვისაც კი ამ წიგნის შეძენა სურს, დროით შეატყობინოს რედაქციას თავისი სურვილი რომ ხელახლად უწიგნოთ არ დარჩეს, რადგანაც მეორე გამოცემა დაიბეჭდება მარტო ორას ეგზემპლარათ.

ნახევარი წლის ხელის-მოსწავრა
„დროებაზე“
მიიღება თვილი ფასი — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მედიკინის და კაპ. სტამბაში) და
შუთისში — გერასიმე ძალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).
ხელ-მოსწავრა
მან. კაპ.
ნახევარ წლისა, გაუგზავნელათ — 3 და 50
თვილისში და სხვაგან, გაგზავნით — 4 მან.

მინც მთელი წლის „პრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდან) „დროების“ დაბრუნება მოინდობებს, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „პრებულის“ რედაქციის კანტორაში.

საქართველო

სიღნაღი.

„დროების“ კორესპონდენცია.
თვლისში ბევრი მესმობა გლეხის კაცის შეწყუბუნებულ სიღნაღის უბნში, მაგრამ მე არა მჯეროდა; ვერ ვთანხმდებოდი, რომ ისე ცუდად იყოს იმათი მდგომარეობა, როგორც მესმობა, ამისთვის რომ სიღნაღის უბნით, როგორც ყველამ იცის, მდიდარ უბნად ითვლება. მოველი რა სიღნაღის უბნში, ვალდებულათ ვხადე ჩიმი თავი, რომ კარგათ შეგეტყუა გლეხი-კაცის ცხოვრება. ამ საქმეზედ ბევრი მუშაობა და წვალბა არ მომივიდა: საათაც მიბრუნდებით, საითაც მიიხედეთ, ყველგან იმისთანა სცენებს ხედავთ, რომელნიც ცხადთ განიგებენ, რომ აქაური გლეხი-კაცი დიდ წვალბაშია. რაც მე ვნახე აქა, ის ბევრით მეტია იმაზედ, რასაც მე თვლისის მკვლევარებმა: ვთი აქ მცხოვრები სამსახურიდან გამოსული ჩინოვნიკი მართალს ამოხსნის, რომ აქაური გლეხი-კაცის ტანჯვას ვერც ენა იტყვის და ვერც კალამი აღწერსო. შენი მტერი, თუ ასე საქმე დარჩა ამ ათ წელიწადს

აქ, კართველების ხელში ვეღარაფერს მამულოს ვეღარა ნახე და თვითონ იმინც ან გადაცევიან საითმე, ან სხვის ყმები გახდებოან. მქვენ იკითხავეთ, მკითხველო, რა მიზეზია, რომ ქიზიყელები ვაგრე საშინლათ დაეცნენ? აი რა მიზეზია. რამდენიმე წელიწადია რაც სიღნაღის უბნში კარგათ არც პური მოდის და არც ღვინო; გლეხ-კაცს ცხოვრება უნდა: სმა და ჭაპა, ჩაცმა და დასურვა, უნდა გადახადოს ქორწილი, ნათლობა, სიკვდილი, უნდა მისცეს ფოშტის ფული, ჩაფარხნის ფული, შკოლების ფული, უნდა იაროს უდროვო დროს, როდესაც ქინახელი უხდება, ბეგარაზედ..... სხვა ღონისძიება ვერ უშოვია, რომ გადახადოს ეს ბევრი ვალდებულება, ვალის გარდა. და თუ ერთი ვალი აიღო სიღნაღელი მოკვარისაგან, წაიღია, საუკუნოთის დაიკარგა. მქვენ ნუ ვეგონებთ, მკითხველო, რომ მე ცოტა რასმე უმატებდე. მღვებმა კაცმა აიღო სიღნაღლისაგან ერთი თუმანი ვალათ; უწერავს მოკვალე თამასუქს, სადაც აძლევს პირობას, რომ ამ ერთ თურმანში უნდა მისცეს მომავალ ღვინობაში ერთი საპალნე ღვინო. მაგრამ როგორც ზევით ვსთქვი, ღვინო კარგათ აღარ მოდის; მოდის კრედატორი და ვუბნება. რახამც ღვინო არ მოგივია, თამასუქი მინც გამომიცვალე! მღვებმა-კაციც უცვლის თამასუქს. ერთი საპალნე ღვინო, რომელიც უნდა მიეცა და ვერ

შუტკარი

მესამე თაფლიანი თევზი

„მნათობის“ ბალიამ

ბზუ-უ-უ-უ ლრეკიას!

შუტკარი და ძაზანა დღეს ბედნიერათ რაცხვენ თავიანთ თავს: „მნათობის“ რედაქცია ისეთი ზრდილობით მოიქცა, რომ სრულიად დამზადებული თაფლიანი თევზი წარმოგვიდგინა მკითხველების საძინოთ. ასე რომ დღეს შუტკარსა და ძაზანას ამ წინასიტყვაობისა და ერთი სამღერალი ტაყვის მეტი არა დასჭირდებათ რა. ამისათვის შუტკარი და ძაზანა თავის უგულითადეს მადლობას უძღვენან „მნათობის“ რედაქციას.

მაგრამ აქ მკითხველისთვის ერთი ასახსნელი გარემოება: დღევანდელი ჩვენი თაფლი ისეთის თვისებისა და თევზი ისე ხელოვნურთა შემკული, რომ ძალიან შესაძლებელია მკითხველი ეჭვში შევიდეს და იფიქროს: ეს უთუოთ შუტკარისა და ძაზანისგანაა და მზადებულია! მაგრამ გეფიცებით ვარდს, იას, მიხაკს და სხვა ყველა ტყილ-წვენივან ყვავილებს, რომ დღევანდელ ჩვენ თაფლსა ვამზადებთ, გეფიცებით დილის ცეარს, შუადღის სიციხეს და საღამოს სიგრილეს, ვფიცავთ ჩვენ გასლიან ნესტარს, რომ დღევანდელი შუტკარის დამზადებაში თითქმის არაერთი მონაწილეობა არ მიგვიღია. შეიძლება მკითხველმა არც ამ გულწრფელი ფიცის შემდეგ დაგვიჯეროს და გვითხრას: როგორ იქნება, კაცმა თავის ხელით ყელი გამოიქრასო? „მნათობის“ ამისთანა ლექსებით თავის თავის მოკლას რათ მოიხილონებდაო! მოგვიყვანთ ღორის მარ

გალითს, რომელიც ცურვის დროს იმდენს იცემს წინა ფეხებს ყელში, რომ ხშირათ თითონვე თავის თავს იხრჩობს. მინც არც ამ მოსაზრების შემდეგ დაიჯერებს, იმას ეთხოვთ „მნათობის“ მეხუთე წიგნში ჩაიხედოს, გვ. 76-78 და 111-114, და რადგანაც „მნათობის“ იშვიათთ იპოვება, „შუტკარის“ რედაქცია თავის კანტორაში სტოვებს ამ შურნალის მეხუთე წიგნსა, ურწმუნო მკითხველების დასაჯერებლათ.

ახლა კი ზურაბ მოენიძის ლექსი წაკითხეთ. მაგრამ, სანამ ამ კითხვას შეუდგებით, გირჩევთ ცხვირი მაგრათ დაიციეთ.

სომეხი და საპროკოლი

ხმა მოუქვსმეტე.

— ნუ დიხარებ ცხოვრების ცნობას, —
თუმცა ეს დიად დიდი მნელია, —
ნუ შეიზარებ შენ იმ სიმყარლით ძაცთა ცხოვრებას, რომ ასდენია. ღრმად ჩაუროე ამ ცხოვრებაში ნავარჯიშევი ძლიერი მკლავი და მის სიმყარლის ამოშვებაზედ ბრთხილათ ინახე უზადო თავი. თან იქონიე სასურებლები, რომ არ დაგეზოოს საყრდენის გრძობა იმ სიმყარლითა, რომელიც მუდამ ძაცთა ცხოვრებიდან ამოყრჩოლდება. ჩაყავ ძირამდის ტიტველი მკლავი, მოუროე და მიაპარ თვალი, რომ დაინახო კარგა გარკვევით, რა ნივთებიცა არის შემდგარი: შუტკი, ნავი, ჩირქი, სიმყარლე და რაც სიკუდეს სით მოხვედრილა,

შეელა ბილწი და შესაზიზლარი ძაცთა ცხოვრებაში შეგუბებულა! და თუ რომ კიდე სადმე სიკეთე ამ სიმყარლესა გადარჩენია, შეელა ეს გრძობა, ჩვენი მრჩენელი, სიმყარლის მფრთვან დაშოვებულა. ღრმად შეიწავლე შენ ეს ცხოვრება, გამოიკვლიე მის კანონები, იცან მიზეზნი ამ წაწყვედისა და ჩაიხრჩე მისი მონები.

აღინთე გული, მიეც თავს ძალა, რომ იყვე შენ მზა საბრძოლველათა, რომ შუა გზაზედ ჩვენთ დროთ ხალხივით არ დარჩე მტრისა სასაცილოთა. ჰნახე, რომ იმგრველივ დედაბერივით გვიბამენ მაგრად გაძაფულს ქელსა და მოლიან მწყურვალის გულით მსლში ნიადგ მსხვერპლის ვაგმსა. მით დედაბერი ქსელში გაძაფულს ბუხს; ისინიც ისე თვისს მსხვერპლს სტანჯავენ, სტკებინან მათის სატანჯველითა და თან ტვინსა და სისხლსა სწოვებენ. შესკამენ თვისს მსხვ რაბლს და გაუმაძღროდ შემდეგ ელიან სხვა უბედურსა, და თვისს ქსელში მუდამ აბამენ მოუძღურებრიკ მიმავალებსა. . .

ახლა წაკითხეთ ეს ლექსი, რომელიც ლრეკიამ უძღვნა „დროების“ რედაქციას.
რა მსიხმრება „მნათობს“?
მიბაძევა ერთი დაუბეჭდავის ლექსისა და ჰინესი.
(მეძღვნე „დროების“ რედაქციას)
სიღნაღს „მნათობს“ და ამ ძილში ჰხედავს სიხმრებსა, ჰხედავს სიხმრებსა, რომ რედაქტორს სერგეი მესხსა, სერგეი მესხსა, დიად ჭკიანს და დიად ბრძენსა,

ბოძნად ჰხევენებია და ბოძნად პრაცხდა ბრძენთ ბრძენს სკანდელსა.
ჰხედავს „მნათობს“, რომ სკანდელი „დროების“ ფურცლებს,
„დროების“ ფურცლებს, უმხოთაოც ფურცლად ცარიელებს, აცხებს სკანდლებით და ამით მესხს გულსა უხარებს, შხარებს გულსა, რადგანაც კარგს ცუდში ვერ აჩვენებს.
ჰხედავს „მნათობს“, რომ სერგეი ძილს მოკლებული, ცუდის თვლითა „მნათობსკენ“ არს დაბეჭდილი, ბულში ლოცულობს: ლმერთო „მნათობს“ განუფრცე ძილი,
რომ მის ძილითა პირში შემჩინეს მე ლექსა პური.
„მე მსუბუქია „მნათობის“ გულზედ,
ის ჩვენს სიფუქს აღარ დაჰპალავს,
და თუ რომ ერთი პირი არათვის —
ჩვენს შედობამებს რაღა დამალავს.
„ის დამტკიცებს, რომ ბრძენსა სკანდელს სიბრძნე სიხმრათა არ ჰხევენებია,
და იმის სიბრძნე მხოლოდ სერგეი მესხს გამო მოსჩვენებია;
„ის დამტკიცებს, რომ ჩვენს ნაწერში ბული სჩანს, მაგრამ ცოდნა კი არა;
ის დამტკიცებს რომ მთლად დავეციოთ, რაკი რომ დავიწით თავის აზრსა.
„მშინ მშვიდობით თივც და ბზო! მკითხველი იცნობს ჩვენსა რაობას, და ჩვენს ნაწერებს, სიბრძნედ რომ პრაცხდა, შეეცრებათ აწი შერაცხავს.
„ღმერთს გეფიცები, რომ თვით ბუნებათ არ ვიყუე მე ტყინ
ბავთხელდობორი ამდენის ჯავრით მე ამ „მნათობის“ შემაუურალი.
„საშინელი და საზარო რიხება თვით ბუნებისგან კარს მომდგომია,
თუმცა შორს ვერ ვხედავ, მაგრამ ვატვობ კი, რომ ცული ბოლო აწი მიწერია.

მისცა, გადადის ფულზედ. საპანე კარგი ღვი-
ნო იყიდება ამ წელიწადს, ესთქეთ, ექვს თუ-
მნათ. მ შინ სიღნაღელი ვაჭარი ეუბნება:
ექვს თუმანში მომავალ წელიწადში უნდა
მომცე ექვსი საპანე ღვინო. ზღვს-კაცს მე-
ტი ჩარა არ აქვს—უწერს თამასუქს. მო-
დის ღვინობის თვე. სიღნაღელი კრედიტო-
რი მიადგება მოვალეს. ზაუწყრა იმის ბედს
ღმერთი, იმ წელიწადსაც არ მოუვიდა იმღე-
ნი ღვინო, რომ მისცეს თავის მოვალეს. მა-
შინ სიღნაღელი მოვაჭრე მეორეთ აკლავი-
ნებს თამასუქს. ისევე ღვინო; გადაყავს ფულათ
ექვსი საპანე, საპანე ექვს თუმანთ, შეიქ-
ოსდა თექვსმეტ თუმანს. სიღნაღელი ვაჭარი
იმ ფულს ისევე ღვინოთ აწერს—თუმანთ სა-
პანეს; გლვს-კაციც თანხმდება ამხვედ, და
უწერს თამასუქს. ამის შემდეგ რამდენიც უნ-
და ბევრი ღვინო აძლიოს და ფული, ის
თავის თავს ვეღარაფერს უშვების, ვალს
ემტება და ეპატება; ერთ თუმანს ფულს
რამდენამე წელიწადს, ბევრი მაგალითია აქ
ამისი, ფულით ღვინოზედ გადაყვანით და
ღვინოთ ფულზედ, აქცევენ ხოლმე სამოც-
ოთხმოც თუმანს. მით მაქირელ კაცს, რომ
მელსაცქონდა კარგი შეძლება, ჰყავდა კარ-
გა ბლომით ძროხა, ჰქონდა მშენებელი მამუ-
ლები, მაგრამ მოუყვდა ძმა, არა ჰქონდა ხე-
ლათ ფული და აიღო ის ვალათ სიღნაღე-
ლი ვაჭრისაგან. ამ კრედიტორმა რამდენ-
სამე წელში ისე უსენინდისოთ გადიდა თან-
ხა, რომ ამ გლვს ჩამოართვა ყველაფერი და
თვითონაც წაოიყვანა და დაიყენა მეწისქვი-
ლეთ. მის ამ გვარი სამწუხარო ფაქტები,
რასაკვირველია, იმისგან წარმოსდგება, რომ
ერთის მხრით სომხებსა აქეთ ნიჭი უპრობისა,
ხალხის ცქელდვისა, მეორეს მხრით ქართვე-
ლის უმეცრება და დანდობა. მართველი იყი-
დის ან აიღებს ვალს და იმას კი არ იკითხავს
თუ რა დაჯდა ნასყიდობა ნისით და ან ვალზედ

*) თუ რამე აქ ტყუილია ანუ მომართულია,
ვთხოვ სიღნაღის მოვაჭრეთა, რომელნიც ფულს ასეს-
ხებენ, მომცენ ვაჭრეთა პასუხი; მაშინ მე მოვიხსენებ
იმთ ნამდვილ სახელებს და გვარებს, იმთ ნამდვილ
ბიროს მოქმედებს და დავანახებ მკითხველ ქვეყანას
რა პატიოსანი და სენიოსანი არიან
ზოგ-ზოგი ვაჭრები სიღნაღში.

მე ამ მნათობის რედაქციისგან
არას დროს კარგი არ დაეყრება:
რაკი გვიწოდებენ, ჩვენთ ფუტა ფურცელთ წილ
სუყველა მნათობს წაეჭიდება.
მე სკანდელით არა ვარ,
რომ შვიი ფერი თერთათ უჩვენო,
.
მაშინ მკითხველი კორტოს მიჩვენებს;
მეტყვის: გასწიე სითაც მოსულხარ,
შენის თავის რომ არა გავსისრა.
ჩვენს გასაწერთელათ სით გამოუღლხარ?
ასე მოსთქვამდა მწუხარედ მესხი
დ სკანდელი კი ილიმბოდა,
დარბაისლურად გაშტერებული
თ. ისთვის შეეძეოდა.
ლიმოს რომ მორჩა მესხს მიუბრუნდა:
„არ შევიწუხებ ამხედ თავსა“,
იწყო სკანდელმა მძიმედ წარმოქმა,
„მთუ რა ბოლო აქვს ჩვენ გვარისა კაცსა.“
მე ეს კი ვიცი, რომ, ჩემო სერგო,
შთუოთ ცუდი ბოლო გექნება,
მაგრამ ჩემებრივ კაცსა
არას დროს ბედი არ შეეცვლება.
„რაც გინდა სწერას ჩვენმა მნათობმა“,
რაც გინდა მიჩვენოს შეცდომილება,
მაინც ჩემებრივ კაცებს მის დღეში
არ მოაკლდებათ კეთილ-ცხოვრება.
შთუვლს კუთხებზედ, სადაც წახვიდე,
შუთხებლს ხალხსა ყველგან შეხედები.
თუ ერთგან მიტნის რა შეილიცა ვარ,
მაშინ სხვა კუთხეს შევიკედლები.
იქ ჩემებრად, ოსტატურადა
დაუწყებ მათ დამტკიცებასა,

რა სარგებელი მოვიდა. ამ შემთხვევაში ენ-
დობა სრულიად თავის მოვალის პატიოსნებას
და სიღნაღის, რისა გამო ვალგებიც დიდდება
ამ სახით ქიზიყელები არიან ჩაცვინულნი
დიდრონ ვალგაში. მართმა აქაურმა სასჯა-
როს პრისტაემადამარწმუნა მე რომ იშვითად
იპოვება სიღნაღის მახრაში გლვს-კაცი, რომ
არ ემართოს სიღნაღელის ვალი. იქნება ამ ცო-
ტა ხანში, მარწმუნდება პრისტაე, მომეტებული
მამულები გლვს-კაცების და აზნაურებისა ჩა-
შბარდეს ვაჭრებს. საქმე იქამდე არის მისული,
რომ თუ ამ ცოტა ხანში არა ეშველა რა,
თქვნი მტერი დაიღუპოს ისრე, როგორც
ისინი დაიღუპებიან. მაგრამ მშველელი არ
საიდავა სჩანს. შექველია, რომ ამ შემთხვე-
ვაში ბანკის დაარსება გლვს-კაცს მისცემდა
დიდ შემწეობას. ზღვსმა კაცმა რომ თუმანი
წელიწადში იშოვნოს მანეთათ, იმაზე მეტი
ბედი რაღა უნდა? ის სულ ყოველთვის გა-
დაიხდის ბანკის ვალს და თათონაც სიცოცხ-
ლის წყარო არ მოაკვეთება. მს აუცილებე-
ლია, თუ სადმე ჩვენ საქართველოში იხეი-
რებს ბანკი, ეს სიღნაღის ბანკი. მე ბევრისა-
გან ვაპირებ, რომ ჩვენ, ქართველები, ღარი-
ბები ვართ, ბანკის ფულს ვერ შეგვკრფავთ
ერთმანეთში. რომ ქართველები ღარიბები
ვართ, ეს მართალია; მაგრამ მე დარწმუნებუ-
ლი ვარ, რომ პირველი მიზეზი იმისი, რომ
ბანკები ვერ გაეხსენით და ვერცა ეხსნით—
ჩვენი ერთმანეთის ხელის მიუტემლობა არის.
მართველებს არ გვიყვარს, რომ ერთი მეორეს
უშველოთ, ერთი მეორეს შეეწიოთ, ერთი-
მეორეს სიკეთე გვესიამოვნებოდეს და გვიხა-
როდეს. ჩვენ ისეთი წყუელი ხასიათი გვაქვს,
რომ ჩვენი მეზობლის სიკეთე თვალს გვიბნე-
ლებს, გულს გვიწუხებს,—ერთი მეორის წყე-
ვა, ერთი მეორის კორვა და ცუდი ლაპარაკი
—აი ჩვენი ხელობა. ამ სიტყვებს დამტკიცება
არ უნდა, ისეთი მართალია, მაგრამ მე მიიდა
მოვიყენო ერთი ახალი ფაქტი. როგორც
ყველამ იცის, ამ ახალ ხანში ჩვენმა პ. სეთის
თავადის შეიღებმა გახსნეს ქალაქში ღვინის
სარდაფები, სულ არ იქნება ხუთი-ექვსი პო-
დალი. თქვენ, მკითხველო, მოვლით, რომ
რახანც ქართველებმა ახლა დაიწყეს ვაჭრობა

ერთი მეორეს ასწავლის, ჩაგონებს, გაფთხი-
ლებს, ერთმანეთის სასარგებლოს ილაპარაკე-
ბენ და გააკეთებენ.—თქვენ სტყუედებით: იმათ
ერთმანეთი ძალიან ეჯავრებათ, ერთმანეთს
სჭორვენ და საქმეს უფუჭებენ.
მაგრამ სამართალი მოითხოვს, ესთქეთ,
რომ ცოტ-ცოტა ქვეში მოვლიდართ. ამ წი-
ნა დღეებში სიღნაღის მეიდანზედ შეკრებულ
ჩინოვნებს და მოქალაქეებს უთხარი მე, რომ
ბანკის საქმეზედ ვხრუნათ. მე ბევრი ველა-
პარაკე თუ რა სარგებლობას მისცემდა ბანკი
ჩვენ გლვს კაცს და იმ პირთაც, რომელნიც
ფულს შეიტანდნენ ბანკში. ბევრმა ძალიან
გულით მოინდომა და მე იმ აზრის დავრჩი,
რომ ერთი ენერგიული, პატიოსანი ბანკის
საქმეების მცოდნე კაცი გააკეთებდა რას-
მე...
სიღნაღში არის ხმა, ვითომც ჩვენ ხელ-
მწიფე იმპერატორს, რომელიც მობრძანდება
წლეულ საქართველოში, ქალაქის საზოგა-
დოება უპირობს თხოვას, რომ გახსნან თი-
ლისში ტიხნოლოგიური ინსტიტუტი ან სა-
მეურნეო აკადემია. თუ ეს ხმა მართალია,
უნდა მოგახსენო, მშენებელი აზრია. შეე-
ლა დაარწმუნდება, რომ ჩვენ ბუნებით მდი-
დარს ქვეყანას ყველაზე მეტათ ესაჭიროება
აგრონომი და ტექნიკი. ღმერთმა ბრძანოს,
ეს კეთილი აზრი აღ რუღლდეს.

და მალე, მესხო, მოგიკედეს მტერი,
მალე უჩვენებ იმათ ბრძანდ თავსა.
„ხომ გახსოვს, სერგო, როგორი მალე
შენ დაიჯერე ჩემი ბრძენობა,—
და სუყოველთვის შინგავს კაცებთან
ბაზამდებდა ჩემი ხელობა.
„იმავე სოფლის დაარსებითვე
ასე არს ყველგან წესი დამდგარი
და თავის დღეში, რაც უნდა მოხდეს,
ზხას არ დაჰკარავს კაცი ჩემგარე.“
მაშინ კი მესხმა მუხლთ მოიდროკა
და ღმერთს შესტირა ცხარე ცრემლითა:
„ღმერთო მალოო, გამოიხსენი
„მნათობის“ ავის მძღაერის ხელოა! *)
პაველ ლრეკიაშვილი.

*) შუ. რედაქტორო! ჩემის აზრით მინამ „ღრობე“
ტყუზედ არ მოვ და არ ისწავლის რიგინათ სჯას,
მინამ იმასთან დარბაისლური სჯა და ლაპარაკი არ
გამოგადგებათ, რათგან იმ გვარს „ღრობის“ რედაქ-
ცია ვერას გაიგებს; ის ამგვარი ლაპარაკით უფრო ჩა-
ვარდება გონებას, როგორცთაც მე ველაპარაკები ზემოდ
მოყვანილის ლექსით. თორემ ხომ მოგვხსენებთ, რომ
დარბაისლური ლაპარაკი მხოლოდ დარბაისლურ გონე-
ბა გახსნილთ კაცთ ეყურებათ. „ღრობე“ კი რაც
ენით მე ველაპარაკები—მეტს ვერ გაიგებს და შრომა
თქვენი ამაოდ ჩივილის და თუ ნებას მიბოძებთ ამ
გვარად „ღრობის“ შეგონებისას, მაშინ „ღრობე“
თავის წყვლობებით, სკანდლებით, შუტკრებით და
პრაზანებით ჩემზედ შემოაგდეთ და თუ ეს ჩემი ჰედა-
გოგიური ღონისძიება არ გამოდგეს და მეგნი კაცად
ვერ ვაქციო, რაც უარესი იყოს ის მითხარით **).

პაველ ლრეკიაშვილი.

**) რედაქციას ბევრი რამ მოსდიოდა ამ გვარობი

მოხალეი სიღნაღის უფლებში შეთანხმე:
ქერი ძალიან მოვიდა, პური შეთანხმთ, ფეტ-
ვი და სიმინდი სრულებით არა. სამი თვეა,
წვიმა არ უნახავს ამ მხარეს. ღვინოც ცოტა
მოგვიყვ; გენახები ჯერ „ნაცარმა“ შეაწუხა,
უწვიმობამ უარესი უყო. ახლა უფურე, რო-
გორ აწრუწუნონ სიღნაღელმა ფულის მსეს-
ხებმა საწყალი სოფლები.....
ი. ბოდბელი.

10 აგვისტოს 1871
სიღნაღი
P. S. დღეს, ნამდვილი წყაროდგან, მე
შევიტყე საშინელი ფაქტი, რომელიც ცხადთ
ანგენებს, თუ რა ნაირათ უსინდისოთ ექცე-
ვიან აქაური სომხები ქართველ გლვსს. მით
ანაგურ კაცს დაუპირებია ისესხოს უ. ტერ-
...ოვისაგან სამოცი თუმანი; ექვსილი შეუ-

„ღრობის“ რედაქციის შესახებ უ. ლრეკიაშვილისა-
გან და სხვებისაგანაც. მაგრამ ჩვენ ამდენს ხანს არ
ვამოვლეთ იმათ ადგილს „მნათობში“. მაგრამ ახლა კი,
როდესაც „ღრობის“ რედაქციამ მეტის-მეტათ მოგვა-
ბურა თავი თავის შუტკრებისა და პრაზანების ბუი-
ლით, ამიტომ ამ გარემოებაში „ღრობის“ რედაქცი-
სათვის ჩამოგონებელ საშუალებად კრაცხეთ ამ უ-
ღრეკიაშვილის ლექსს და ამიტომაც გმუქდეთ.
„მნათობის“ რედაქცია.
შუტკრამ უთხრა პრაზანას, ხლი მოქიდე ჩანსაო;
მე ჰიანურსა დაუკრავ, შენ თუ მომძახებ ბანსაო!
შევასხათ ლრეკიაშვილი, ჩავადლოთ გულის ხმასაო;
ქუხელი და წყალტუბელი უკან ვადვენოთ მასაო!
ქუხელი მოდის მწუხარების ცრემლის დენითა;
„მევე წყალტუბელს მოესმინოს ცეცხლ-მოღობითა,
რომ პრაზანამ მე დამსტყვავა მხეილებითა,
თის ანთება, გულსა ცეცხლი მხვდა მის გესლითა.
წყალტუბელმა თვით შებღვალა: „მეც ვეგ სენი დამემართა:
ჩანგი ისრით დამიღუწეს, ავი საქმე დამემართა,
ბევრი ვსტადე, მაგრამ ჩანგი მაინც ვეღარ მომეშრათა.
პოეტობას თავს ვამებებ, თუ სხვა საქმით წამემართა.“
რა მიუტრეს ერთმანეთს, შემდეგ ენა გაიჩაჩხეს:
შუტკარ პრაზანის შეუხურა დიდ ს ამბით განიზრახეს,
„მნათობი“ სიბრძნით გატნეს. ქუხელი ზედ დატნეს,
შუტკარ-პრაზანას უმინეს, კეპ-ქუხილით ესროლეს!
ქუხელი მოდის მწუხარების სისხლის დენითა;
„მევე წყალტუბელს გეგონოს ცეცხლ-მოღობითა,
„თავ-პირი ტყუელთ დამამტვრა, გიგლოვ ოხვრითა,
შუტკრის ბუილის პოლემიკით როგორც ვსაბოდიშოა?
ამ დროს შორიდგან ვინღაც მოაკუნობს კბილ-
ლრეკიაშვილითა,
ქუხელის მოტყმას უკრს უგდებს, ჯოხზე ცალ-ხელ და-
ბჯენითა,
ხედავს ქუხელს და წყალტუბელს გოგრა და ჩნგ დამ-
ტყვევითა,
შუტკარიან თმის გადაღლით თავპირის დასისხლებითა.

მტკიცებია ნოტარიუსს და სომხს ჩუღლურა ჯი-
ბეში. როცა გამოვლენ ნოტარიუსი ელგნე ქარ-
თველი კაცი ეტყვის ტერტიკი, ახლა მომეცი ფული;
სომხები მოუგონებს შარს და ეტყვის, ხომ
მოგეციო ფული. მართველ კაცს შეულონდ-
ბა გული, დაიწყებს ტირილს, სამართალში სი-
არულს და ჩივილს. ამ დროს სომხები მის-
ცემს ქრთამს ანაგის მამასახლისის და იმის
სიძეს, რომ იმათ უმოწმონ, რომ იმ ნამ-
დვილათ მისცა სოფელის ფული. ის მოწმე-
ბი სულმა დააფიცა. იმათ დაიფიცეს. შიკის
შემდეგ აქაურმა მიროვის მსაჯულის თანაშე-
მწემ, რომელსაც ამ საქმეზედც წინათ იცო-
ბდა ჩვენი საზოგადოება დახლოვნებულ გა-
მომძიებლათ, გამოაჩინა ყველაფერი: იქი-
დან სჩანს, რომ სომხს ფული არა მიუციარა
სოფელისთვის, და ქვეხას და იმის სიძეს მი-
უღიათ ტყუილი ფიცი. დამნაშავე პირები და-
ჭერილნი იყვნენ და ეხლა შეიტანეს გიარო
და გამოუშვეს და ის სოფელი კაცი კი სი-
ხარულით ისე დადის, იტყვის კაცი, ფთები
შებმაო. ი. ბ.

შვირილიშაან
(„ღრობის“ კორესპონდენცია)

ბუშინ დილას (აგვისტოს 14-ს) მოვესწა-
რით ჩვენ იმას, რასაც დიდი ხანია მოუთმენ-
ლათ მოველოდით: დილის 7 საათზე აკურთ-
ხეს ჩვენს სტანციაში რკინის გზა. საათის ექვს-
ზე მოვიდა შვირილიაში დიდი მთავარი ძაგვა-
სის ნამეტნიკი და 7 საათზე ბაბრიელ ეპის-
კოპოსმა გადაიხდა პარაკლისი, რომლის შე-
მდეგ მუზიკამ—„Боже, царя храни“ დაუკ-
რა და პირველი ბაკალი შამანისა ამ დღესას-
წაულობისათვის თვითონ დიდმა მთავარმა
მიირთვა. ამის შემდეგ დიდი მთავარი და ბა-
რონ ნიკოლაი ცალკე ვაგონში ჩაბძანდნ და
დანარჩენი ხალხი—სულ ორასამილი—სხვა ვა-
გონებით წაიღნენ შოთში, სადაც მომზადე-
ბული იყო სადილი.
მაშ ეხლა შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი,
რომ შოთიდან შვირილის სტანციაში რკინის
გზა მზათა გვაქვს.

— მშვიდობა თქვენდა, ძაბუნო,—მისალმებ ლრე-
კია—
ნუ სწუხართ, ძებო, მაგ ვაჩი მეც ბევრი გადახდებია,
ბახსოვთ ის ყამი, ოდესაც მე თვით ვიყავ თაგებდია,
ილიას კვხვით შევებო, შვირლუწეს ფერდებია!

აუ განვიცადი ბრძოლაში, მიუყრეთ რა მოგახდინო,
მესხს და სკანდელსა „ბუილით“ თუ თავს ღლი არ
ვადინო?
ბაზეთში როგორ შეუშვეს ეგ ფუტკარი სამარცხენო,
ასეთს შირის გამოვუტყვამ, მწარე ოფლი მათ ვადინო!

ქუხელი შიშობს მწუხარების გულის ძვრითა:
„მევე ლრეკია ცუდს შევმთხვებ ბაქიობითა,
ჩემთანც ასე გამკიოდა ტრაპაობითა,
მაგრამ ცხვირს ძმარი ვადინე ბასაობითა“

პაველ ლრეკია ამხედრ-დაქველი დიდგულის თოფითა
მითამც „ბუილით“ გატნა, გავარდა კი უროყინითა...
მესხს და სკანდელს მიუწერა, რაც ისმინა დიდუყუსითა.
დიდება იმის გონებას, ქრს დაუფური ჩანახითა.

ქუხელი მოდის მწუხარების ცრემლის დენითა.
„აკი ვაქი, მოხდებდა-მეთქი-ტრაპაობითა,
დღ-უროყინათ სცვენს ლრეკია უარობითა,
წილდოთ ქერი მოუმზადეს ჩანახობითა!“

კადამტორი შუტკარი
თანამშრომელი პრაზანა

ცხელ-ცხელი ახგამგი
ახირებული კაცია მიტერვალა არდაუჯე-
რადე! მართალია მრისხანე ბედს ცალი თე-
ლი წაურთმევია მისთვის, მაგრამ მაინც ვერ მიუ-
ნიჭებია ღირსეულ-დ და სრულად ის, რაც
ეკადრებოდა!... მიტერვალასთვის ერთი თე-
ლიც მეტია: ჩვენ, რომელთაც ორ-ორი თე-
ლები გამოგვიკიმავეს. ისინიც კიდევ საფალე-
ვებით შეგახმული, ცხვირს იქით ვერასა ეხე-

თუმცა გზა გაიხსნა, მაგრამ მოგზაურობა კი საზოგადოებისათვის 19 აგვისტომდე არ იქნება.

ს. შ.

ხმა სიღნაღიდან.

(„როგორც“ კორესპონდენცია)

ღედაკაცების იარაღი — სიღნაღის გზები — ა — ის ფულის გასხვების კანტონა — სიღნაღის ბულვარი — აქაური მეჯღიში — ნეტარად სახსენებელი სიღნაღის კლუბი.

აი დღეს ექვსი დღე არის, რაც მე სიღნაღში ვიმყოფები და ყოველს დღეს გავდივარ ღედაკაცების იარაღსავე. ღედაკაცების იარაღს იმას ვეძახი, სადაც მიედანზე ყოველ ცისმარე დილას იკრიფებიან თითქმის მთელი სიღნაღის მახრის სოფლის ღედაკაცები და ყოველი ყოველისფერს, რაც კაცის მუცლისთვის საჭიროა. რიცხვი ამ მოგებზე ღედაკაცებსა იქნება სამასამდე. ამათ უამისოთ ცხოვრება არ შეუძლიან; მათთვის ეპრობა იარაღსავე შეადგენს არსებით საჭიროებას: ამ გარე საშუალებით ეს ღედაკაცები შოულობენ ღონისძიებას ტანსაცმლის შოვნისა, ფოშტის ფულის გადახდისა, სახელმწიფო ხარჯის მიცემისა და სხვა და სხვა. მართი სიტყვით, ესენი თავის ეპრობით ძალიან დიდ შემწობას აძლევენ სიღნაღის მახრას. მაგრამ თითონ ქ. სიღნაღს აქვს იმათგან სარგებლობა? ძალიან დიდი. ეს ღედაკაცები აცხოვლებენ სიღნაღის ეპრობას. შამათთ სიღნაღის ეპრობა თითქმის მოუფიქრებელია. იმათ დილით, მზის ამოსვლამდე, შემოაქვთ კიტრი, პური, წიწკა, ნიორი, ხახვი, ნესვი, სახამორი, ღობიო, ბაღრიჯანი, ქინძი, წიწკმატი, პრასა, ნიხური, კოწახური, ქარქვეტა, ღანწილი, აბრეშუკი, ყუკ, ხამები თავისი საკუთარი ხელით ნაქსოვი, ლეღვი, ყურძენი და სხვანი, და ძალიან იაფად ჰყიდიან. ამისა გამო გათენდება თუ არა დილა, მაშინვე თითქმის ყოველი სიღნაღის მცხოვრებლების ოჯახებიდამ თითო კაცი აქ მჭკრივით ჩამომხსნადარ ღედაკაცებში დაიარებიან და ევაჭრებიან

იმათ. შოველ დღე სიღნაღელები აქ ყიდულობენ სურსათს და ასრე ცხოვრობენ. შიმათოთ სიღნაღს ცხოვრება ჯერ-ჯერობით არ შეუძლიან, ამასთვის რომ მას არა ჰყავს მეფურნეები; ამის გამო ამთგან ჰყიდულობენ გამომცხეარს პურს და ისრე იოლათ მიდიან ისინი, ვინც თავის სახლში პურს არ აცხობს; აქ ეხლა ორ ან სამ გირვანქიან პურს შაურათ აძლევენ. შარშან ძვირობაში თურმე ფურნე განწეს, მაგრამ ჩქარა ისევ დახურეს, რადგან, ამ ღედაკაცების ეპრობისა გამო, მეფურნეს მოგება არა ქონდა. ამ ქამად ფუთი კაი ფქვილისა ისყიდება ერთ მანეთად, ფქვილი აქ უფრო მომეტებულად შემოაქვთ ზაქათალის მახრიდან. ამათ აქ მოაქვთ გასაყიდათ აგრეთვე ხილიცა: მსხალი, ვაშლი, თხალი და სხვანი. აი ისეთი მნიშვნელობა აქვს სიღნაღის ღედაკაცების იარაღსა.

პატრონება და სამართალი მოითხოვს, კაცმა სიკეთისთვის კაცს სიკეთე უყოს. მაგრამ ამ სიკეთისა და სარგებლობისათვის რა სამაგიეროს უხდებიან სიღნაღელები ღედაკაცებს! ამ საწყალ ღედაკაცებს, რომელთაც აცვიათ ცუდ-უბრალოთ, ძალიან უმეგრათ ექცევიან და დაურიდებლათ ესერიან უნამუსო, ურიდო, ურცხვ სიტყვებს. ამ წინაზედ, მიამბო ერთმა სარწმუნო პირმა: თექვსმეტი წლის ემაწვილი კაცი ლეღვა ჰყიდა და კარგათ ჩამოული, მსგავსი პატროსანი კაცისა, გადაუღდა წინ და უთხრა: მომყიდე ლეღვიო. იმან დაუფასა თურმე ორ შაურათ და მგლის ტყავში გახვეულმა პატროსანმა შეაძლია ერთი შაური. ბიჭი თანხმა ვერ გახდა და ამის გამო მგლის ტყავა თურმე ძალიან გაუჯავრდა, გალანძლა, შეუბღვირა და შეუტია, მიუგლო ექვსი კაპეიკა, აილა ლეღვი და წაეიდა. თუკი კაცებს ასრე უთავაზოთ ექცევიან, ვითარა უნდა ეპრობოდენ ღედაკაცებს? მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სისხლის ფასად ნაშოვნის ფულებით ღედაკაცები შემოდინან მერე ბაზარში რისამე საყიდათ; აქაური ეპრობი ერთს ორათ ართმევენ და ისევ ცარიელებს გზაენინან შინ. ამ სახითა მათ მიერ მიცემული

ფული მათვე უბრუნდებათ. აი ასე უხდებიან სიღნაღელები სამაგიეროს იმისთვის, რომ ისინი სიღნაღს აცხოვრებენ.

ძალაქა სიღნაღს, თუმცა ჯერ არ არის სრულიად მოშენებული, დიდი სიგრეე უჭირავს; სოფელი ნუკრიანიც ზედ არის მიწერილი. მდებარება ამ ქალაქისა ისეთია, რომ თუ კაცს ნუკრიანის ფოშტასთან (დასავლეთ-სამხრეთში) ფეხი როგორმე წაუსხლტა და დაგორდა, სწორეთ რომ ესტეკა, ღედაკაცების იარაღსავე, სადაც გოლტინიცა არის, შუა სიღნაღში, იქ გაჩერდება, და თუ ჩრდილოეთში წმინდა სტეფანეს ეკლესიასთან, სიხის ახლოს, ისევ იქვე მოვა, მაგრამ თუ მიმართულება დასავლეთისკენ მიილა გორვის დროს, სწორეთ ანაგის ხეში წაბძანდება, შეერდოვანთ ტყის წინ; ხოლო თუ ჩრდილოეთისკენ დაგორდა, ანაგაში წაეა, თუ აღმოსავლეთისკენ, წმ. ნინოს სობოროს ხეში ჩაძვრება. ამ წინაზე ერთი ღედაკაცი ევაჭრებოდა მეფარჩეს და რომ ვერ მორიგდა, ღედაკაცმა გაბრაზებული თავის ქნევითა სთქვა: „ამ ჩაძვრეს, ჩაძვრეს სიღნაღი!“ ტაკი-მასხარა სომეხმა სიცილით უპასუხა: „ღედი, რაც გინდა ჩაძვრეს სიღნაღი, ისე როგორ ჩაძვრება, რომ საქობორ პირ და პირ მანც ვერ დადგეს.“ ღედაკაცი საქობორი იყო და ხმა ჩაქმენდილი ჩაძულძულდა. მკითხველი თუ კარგა მიხვდა გორვის მიმართულებებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგათ წარმოიდგენს სიღნაღის მდებარებას, რომელსაც გულიც ჩაღრუტული აქვს. მართი სიტყვით, სიღნაღი არის მოშენებული ოღრო-ოღროებში და ფერდობებზე, ასე რომ, რა გინდ მაღალ მთაზე იდგეთ, მის სახეს მთლათ ვერ იხილავთ, მხოლოდ აქა იქ ვარსკელებებსავე თვალ წინ წარმოგდგებთ კრამიტაინი სახლები სხვა და სხვა ფერისა. აბა ახლა წარმოიდგინეთ ამის გზების გასწორებას რა ჯაფა მოუწოდებოდა და რა ელირება. ბარწუხნებთ, რომ შიხიის ხალხს ტყავი გადასძვრა იმის გზების კეთებაში. ნუკრიანის ფოშტიდამ მოკიდებული, ამის გზა არის გაკეთებული ანა-

გის ხეამიდი, სულ ხუთი ეგრისის სიღნაღე. მინ გააკეთა ეს გზა? ჩვენმა შიხიელებმა გლეხსავე ცხება. ბძანება ისეთი იყო, რომ ქალაქის სიღნაღი და გაეკეთებინა თავის ხარჯით. მთელი ერთი წლის განმავლობაში ყოველ დღე თითქმის ორასი კაცი იდგა გზებზე და წერაქვებითა და ლომებით ანგრევენ მალლობებს გასასწორებლათ და გაჰქონდათ მიწა აქა-იქ. ასე ამ ჯაფით სიღნაღელებისაგან გასაკეთებელი გზა უფასოთ გააკეთეს შიხიის გლეხ-კაცებმა, არ იცის კაცმა თუ რომლისა მიზნისა გამო მოხდა ეს. რით უხდინენ ამ სიკეთეს და ჯაფა სიღნაღელები გლეხებს? მათ, რომ მუშაკაცი შიმშილით მომკვდარ იყო, ლუკმა პურს არ აწვიდინენ და არც შინ უშებდენ, რომ საზრდო მოეტანათ. აი სიკეთე სიკეთისათვის. „ნუ მიჰყევი სიმართლესაო, გამოგიღვე თვალის სინათლესაო,“ აი ამაზე არის ნათქვამი. ნახევარ მილიონათ საღირსელ საქმეს უკეთებდა გლეხი-კაცი სიღნაღს უფულოთ, ის კი მაღლობის მაგიერათ, რატომ შენ საქმეს, შენ ცოლშვილს შინ შმიერ წყურვალს არა სტოვებ წვილ-კვილით და არ მოდიხარ—ჩვენ გასაკეთებელ გზას არ აკეთებო—ქვებს, ბატს, ქათამს, ანუ რაც ებადა სახლში, ძალით ართმედა. მე შემეძლო წარმოგდგინა ისეთი გულასაძღვრევი მაგალითები, რომ განციფრებაში მომეყენა მკობხელი, მაგრამ მაგდენის თქმის ნება აღარა მაქვს. მაგრამ იმის ნება კი მაქვს ესთქვა, რომ სიღნაღელებმა იციან სიკეთისთვის სიკეთის გადახდა...

ეს სიკეთე კიდევ არაფერი. სხვა უფრო დიდ სიკეთეს უშვრებიან. აქ არის ერთი კაცი სახელად ა; ამას აქვს გახსნილი ფულების კანტონა. მისი დანიშნულება ის გახლათ, რომ გლეხ-კაცს, თუ ფული დაჰკარდება, ყველას შეუძლიან ამ კანტონადგან ის მიიღოს. ამის გამო ყველას ასეხებენ ფულს, ვინც კი სთხოვს და ართმევს თამასუქს. ამ თამასუქების საწერათ მას ჰყავს საკუთარი მწერლები. მსენი არიან ახლგაზდა ყმაწვილი კაცები, და იციან ქართული, რუსული და სომხური. მსენი უწერავენ მასეხებელსა და მსესხებელს თამასუქებს და პირო-

ღათ, იმასაც წინ, და ეს კი მისის ცალის თვლით უკანაც იყურება; ათვლიერებს გამოძიებელის ყურადღებით, რასაც კი ჩვენს უკან გაუვლია, ჩხრეკავს გულს-მოდგინეთ, უღარებს, უწონის თავის აწმყოს, იცხებს ჯამს*) და, გულ-გაუმძღარი ცნობის-მოყვარეობათ, მკითხაობს მომავალზედ! ბერს რამეს წინასწარმეტყველობს მომავალზედ და ისე ნამდვილი და სარწმუნოც არის მისი წინასწარმეტყველობა, როგორც პატარა ჩოჩრის დილობისათ გაეიერება. მისის ანგარიშით, მუთაისის ლებერნაში მომავლის 1872-ის წლისათვის აი რა და რა საქმეები მოხდება: 1) მურძენს აღარ დანაცრავს. დიდი მოსავალი იქნება ღვინის, მაგრამ ღვინო მანც გამეირდება... მუთაისში მეორე გიმნაზიაც გაიშართება, ლოპიანა ეგზამენს დაიჭრს და ინსპექტორათ გამწვსებენ. — 2) მუთაისამდი მოვა რკინის გზის ტოტი; შედგება კამპანია სამს გამოჩენილს სოფდარებისაგან: ა. წ., ბ. ლ, და დ. წ.; ააშენებენ მისთანა ეოკნალს, რომ მთელს ხმელეთზედ მისი დარი არ იქნება! — ისე გამართავენ, რომ სიგრძე-სიგანე მოსაწონი იქნეს და შესავალიც უქონ! შულათ-ფული ექნებათ ნაღდი წლის შემოსავალი სამას ოცდათექვსმეტი ათასი მანეთი ეცხლისა; ამ შემოსავლიდამ ასი ათას მანეთს ყოველს წლობით შესწირვენ ლიტერატურის წარმატებას, ასი ათასს სახალხო შკოლებს, ასი ათასსაც უნივერსიტეტში ყმაწვილების გამოსაზრდელათ და დანარჩენს ოცდათექვსმეტი ათასს კი თანასწორათ გაიყოფენ სამათ, ერგებათ თორ-

მეტ-თორმეტი ათასი მანეთი თეთოს; იმას ცხრაკლიტულში შეინახენ, მაგრამ მოშა სულს იცემს და მიანგნებს, შალომა ისესხებს მათგან დიდის სარგებლით; მანეთზედ მანეთს მისცემს სარგებელს და გირაოთაც ღორის ღორებს; დროზედ ვერ გადახდის, გირაოს აუქციონით გაჰყიდიან ისევ ურიებში და თათრებში, და დიდს მოგებას ნახვენ სოფდარები!... 3) ეი-საც ფული დასჭირდეს სასესხებელი, იმათთან მივიდეს, მაგრამ იმ დროს კი როცა მოკლილი იქნებიან სოფდარები, ე. ი. როდესაც არ სძინავთ!... 3) ტყიბულის ნახშირის მტვრევის დაწვებენ, მაგრამ იმ მთილამ ერთი დიდი გველი გაშოვა, დაიფრენს ყველას წინ და ევლარაინ მიჰბდაეს; ამ დროს მივა რაინდი ძუღაბზიკა, მიხტუნებს თავის მებარბანე ბედაურს, ამოადებს ლეკურს, შედგეტ ეს შიშვლათ იმ უცნაურ გველს და სულს გაამთქნარებიებ. წართმევენ ნატერის თვალს და მაშინვე ინატრებს „მგზავრის წიგნების“ ავტორისათვის ასს ჯობს! არა! უკაცრავათ! ასს ჯობს კი არა, ორ მილიონს!... 4) ზიბორს“ გადაუხდის!... 4) ბანი დაარსდება, თავით-აზნაურები მამულებს გირაოთ შეიტანენ, ფულს გამოიტანენ და მაშინ მათი საქმე უფრო ჩქარა წაეა, წყალიეთ. 5) დიდი ქორწილობა იქნება: ვინც კი ლეჩაქს მოიხდის, გაუთხოვარი არ დარჩება. — 6) ნეტაეი მათის ქმრის ოჯახს! ძალიან მოჯაზობასაც გამოიჩინენ: სხვათა შორის აყიდენებენ ქმრებს ერთს ულაყს და ერთსაც ჰკის ჯორს ჯოგისათვის სანაშენოთ, დედალ-მამალ ყვერულებს, რომ პატარა ყვერულები გამოატეხინონ და მნაწრის გოკებს ბულკითა და რძით დიდ-დიდ

ყნიდამ არიან მოყვანილი მნანოვს ღორები, სხვა ჯინშისა და არაფერში არა ჰგენან ჩვენებურ ღორებს, ამისათვის იმათ კევრცხების დებაც ეცოდინებათ ქათამიეთ და კიდევაც დაუდებენ უღეჩაქო და ნასწავლ-ყმაწვილ ქალობატრენებს. აი, ეს გახლავსთ სხვათა შორის არდაუჯერადის წინასწარმეტყველება და აბა თქვენ იკით, თუ თავდარიგს შეუდგებით. — აქ მინდოდა ჩემი ცხელ-ცხელი ანბები გამეთაეებია. მაგრამ რა ექნა, რომ ზოგიერთების სურვილს ევლარ წაუფელი! მიცი, რომ ძალიან უყვარსთ ჩემი კალამი და რასაც მეტს დაესწერ, ის უფრო იამებათ! — ბევრი სწერე, გენაცვალე! სწერე, ენა-შაქრიანო და თაფლის მელნიანო! ხომ იცი, როგორ გვიყვარს შენი ნაწერიც და შენაცო! ამის შემდეგ მე რაღა მრჩება სათქმელი თუ არ ეს: კი, ჩემო მშვენიერებო! დიხ, ჩემო გულის ვარდებო! მე თქვენ მელანს როგორ დავამადლით: აი ახლაც გეტყვით იმ ამბავს ერთმა ყმაწვილმა კაცმა რომ წიგნი მისწერა აშიე ქალს და იმ ქალმაც რა პასუხი გამოუგზავნა:

ქ ა ც ი ს მ ი წ ე რ ი ლ ი .
N
„სიზრათ ვნახე შენი გული,
მს სიტყვები ზედ ეწერა:
„ზამოცელია სიყვარული
აქ ოთხმოცდა ცხრაშეგვრა!“
—
მეასეთ მეც მზათ ვიყავი
ჩემი თავი ჩამეწერა,
მაგრამ ვაქნა თავი,
მომავყიდა: „არა! არა!“

რა გულმა აღარ მიხება,
დაეწედი, დარჩი მე ასე;
მსცნობდე მანც ვინ იქნება
ის შესაბრალო მესაგ?
—
დიდხან იქნება ვაგ გულში
ის მესეთ ჩაწერაო,
თუ გამოსცელი მასაც სხვაში
და დარჩება თავ-დახრილი?
—
ღიახ შენს გულსა აქვს ძალი
და მასთანც გამოცდილება.
სადაც ასი წაიშალა,
იქ სხვა ერთიც წაიშლება!
—
მ ა ლ ი ს პ ა ს უ ხ ი
შენი გულიც კარგათ ვიცი
არის ქარვან-სარაია!
მავისთვის სულ ერთია
ჩით-ჩუთი და დაოია!
—
თუ კი თავზედ დახურედი
ღიახა მან ღეჩაქი,
სიყვარულს გამოუცხადებს
შლაყია გინდა ჰკიო.
—
მ. შ ჩემს გულს ნულარ დაეინი,
რა ვუყოთ უყვარს სტუმრობა,
ძველ-ძველის მოძებნა,
ახალ-ახალის ანუშრობა...
—
მაგრამ თქვენ კი ვერ მოგართოთ,
უკაცრავათ. ნუ გვიწერებთ!
და თუ მანც არ მოიშლით,
რა ვქნა, შეიწვით მწყერები!

*) მათხოვთ აქ ივლისისათვის ანგარიშის სუმა და ტურტული, ჯამი.

გვებს, რასაკვირველია იცე, როგორათაც მასე-
სხვებელსა სურს და ხელს აწერინებს მასე.
ჩვენ გაქირებულს კაცს ამ ქვათ არას ჰფი-
ქრი და ჯაგრი არა აქვ: თუკი ფული
ძვირი სარგებლით იშოვნა, მაგრამ მაინც და
მაინც უხარია, გული უტყვას, უფანქვალეს,
ღმერთს მადლობასა სწირავს, რომ იშოვნა
და ახლა იმას ჰფიქრობს, თუ რა გიარი და-
ნიშნულება მისცეს ნასესხებ ფულს. და იმას
კი სრულიად არას დასდევს, თუ რა პირო-
ბებით იწერება თამასუქი. მ საკვირვლით არს
არის, რომ მასე ხებელი კიდევ ამდღის ფუ-
ლის სესხებისათვის, თუმცა ასეთ სარგებელს
იღებს. „რა ეწველებოდა თქვენ გლახ-კაცს,
ჩვენ რომ არ ვიყოთ? ჩვენი ყადრა და ხ.თრი
გლახ-კაცებმა მაინც არ იცით. ფული წაი-
ღებთ, საქმეს გააკეთებთ, და მერე კი ფულის
ზღვაში გაწუხებთ. ჩვენ თქვენთვის ვზრუ-
ნავთ, ფულს ვივებთ, გაცხოვრებთ; თქვენ
კი ჩვენი ყადრი არ იცით, თავის ვადაზე ფულს
არ გვაძლევთ, კეთილ საქმეს გვიჯანჯლებთ
და დავი-დარაბათ გვიხდით!“ მუბრება რომე-
ლიმე მელქია გაქირებულ გლახ-კაცს. რო-
გორ მოგწონთ ეს?

(დასასრული შემდგომი)

**ორი სიტყვა თფილისის კათოლიკე
სამრევლო შკოლავზე**

წარსული თვის დამღვეს, ყოველ წლიური
ჩვეულებისა დავარათ, აქაურა ფრანგების სა-
მრევლო ვაჭებისა და ქალების შკოლაში იყო
აქტი, რომელზედაც სხვათა შორის მეც ვიყა-
ვი მიპატივებული. ეს აქტი, რომელზედაც
შკოლის გამგებლები საზოგადოებას წარუდ-
გენენ ხოლმე შკოლის მდგომარეობას და თეი-
თან შვირდები თუ სალიტერატურო საუბ-
რითა და თუ გლობით უჩვენებენ თავის გო-
ნების გაწერას, — საზოგადოთ სწორეთ კარ-
გი ჩვეულებაა. მაგრამ შემოხსენებულ შკო-
ლებში ამ უკანასკნელ ჩვეულებას, ჩვენი აზ-
რით, ენება თუ არა, სარგებლობა მაინც და-
ლიან მცირედით უნდა მოქმედდეს. სახალხო
სიმღერების ხორით გალობა და ჩვენი ცხოვ-
რებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი სცენების წარმო-
დგენა, უჭკველია, ახალგაზღვებისათვის უსარ-
გებლოთ არ ჩაივლის. მაგრამ მე ვერ გამი-
გია — რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ნორჩ
და ჯერ გონება-გაუხსნელი შვირდებს ისეთი
სიტყვების წარმოქმნა, როგორც მაგალითად:
„თავის მახლობლის“, „მამულის“ ან „სწავ-
ლის საყვარულზე“. ცხადია, რომ არათუ სი-
ტყვები, თვალების ზეცხსკენ აყვრილობა და
ხელების მალა ამეფრა უმაწილებს გაზვი-
რებული აქეთ და წარმოსთქვამენ იმას, რა-
შიაც საკუთარი მათი არც აზრი და არც გრძ-
ნობა არ ურევია.

შას გარდა ჩვენ შევნიშნეთ ამ შკოლების
სწავლაში ერთი ნაკლებეფანება, რომელიც
საზოგადოა ყველა ამ წიარ შკოლებში:
ეს სამღეთო წერაღის სწავლისთვის უმთავ-
რესი ყურადღების მიქცევა. ჩვენი აზრით, და
ართუ მართა ჩვენი აზრით, ყოველი კე-
თილგონიერი პედაგოგი და ყმაწვილის ად-
მხდელი ამს გეტყვი, რომ ახალგაზდა ტინს
მხოლოთ ისეთი საგნებია და სწავლის შე-
თვისება შეუძლია, რომელსაც ის თავის ხუ-
თი გრძნობით გაიგებს და შეეცება. სამღეთო
წერილი კი ამისთანა საგნებ არ გკუთვინს
და ამიტომ იმის გარდამეტყვებით სწავლა ახალ-
გაზდას არასოდეს არ გაუხსნის გონებას.

ამ ნაკლებეფანებს გარდა, როგორც ეტ-
ყობა, ამ შკოლებში სხვა ყველაფერი რიგია-
ნათ და სამაგალითოთ არის გამართული ძმო-
ბისაგან.
ვაჭების შკოლაში იოიციება სულ — 32
ყმაწვილი.
შალების შკოლაში — 22.

როგორათაც ვაჭებს, აგრეთვე ქალებს ას-
წავლიან შემდგომ საგნებს: ქართულს და რუ-
სულს წერა-კითხვას, არითმეტიკის, მოკლესა
და გრცელ კტეხიზმობას, სამღრთო ისტო-
რიას, სეკულესიო და სამრევლო გალობას:
ქალები ამას გარდა სწავლობენ ხელ-საქმესა
და ვაჭები ლათინურ კითხვასა. ამ პროგრა-
მიდაძაქ ჩანს, რომ შვირდების მომავლებუ-
ლი დრო და შრომა სამღრთო წერილის (წა-
ვლას უნდებ).

ორივე შკოლებზე იხარჯება — თუ მას-
წავლებლებზე და თუ სხვა საქირებებისათვის —
ძირბის ჯაბილამ ორას თუმანამ დინ წე-
ლიწადში. სწავლისათვის საჭირო ნივთები
უმეტესი ნაწილი შვირდებს უფასოთ ეძლევათ,
ღარიბებს ტანსაცმელსაც უკერავენ საეკლე-
სიო ხარჯით.

ამ შკოლების ზედამხედველათ დანიშნუ-
ლია მღვდელი პაეღე ძალიაჯოვი.

მასწავლებლებათ: პაეღე ანტონოვი და
მარია სბრასკისა.

რანაკულეფანებაც ჰქონდეს ამ შკოლებს,
კაკი ვერ იტყვის, რომ იმათ ჩვენი ღარიბი
საზოგადოებისათვის მაინც დიდი სარგებლობა
არ მოქმედდეს. ამიტომ ვინატროთ იმთ-
დღეგრძელობას და წარმატებით წინ-სვლას.

სამართალი

**სხდომა ს. პეტერბურლის სამოსამართ-
ლო კალატისა იმ შემთხვის თარბაზე,
რომელიც ახლანდელი მმართველობის
წმობილობის დასახმობად იმს შედგ-
ნილი 1869 წელს.**

(მაგრძელება)

ბრალსადები აქტის წაკითხვის შემდეგ, თავს
მჯდომარემ შემოიხშირა თითოეულთ ყველა
ბრალდებულები და თითოეულს იმათგანს ჰქე-
თხა: აღიარებენ ისინი ბრალეულათ თავიანთ
თავს იმ დანაშაულში, რომელსაც აბრალებს
მათ ბრალსადები აქტი, თუ არა? ამ კითხვა-
ზე უსპენსკომ და ტუნცეცოვა სთქვეს აღიარ-
ებთო, პრიყვამა სთქვა ამასთან მხოლოთ,
რომ ივანოვის მოკლელაში კი მოწანილობა
არ მიიღიაო. დანარჩენთა ბრალდებულთ:
ფლორინსკიმ, მლორევა, მოლხოვსკომ, ტა-
ჩოვიმა, პარინჩსკიმ, ტომილოვის ცოლმა, დე-
მენტიევის ასულმა სთქვეს, რომ — არ ვბრ-
უნებთ თავს იმ საქმეში დანაშაუდ, რომელსაც
ბრალსადები აქტი გვაბრალებსო.

ამის შემდგომ სასამართლომ ჩამოართვა ჩე-
ვენთა თითოეულს ბრალდებულს. პეღე ამ
ჩვენებების მოკვანა ჩვენს გაზეთში შეუძლე-
ბელი საქმა. ჩვენ მიუქცევთ მკითხველის ყუ-
რადღებას მხოლოთ სამი ბრალდებულის ჩე-
ვენება: უსპენსკის, დემენტიევის ქალისას და
ტაჩოვისას, რომელნიც სხვებზე უფრო
შესანიშნენი არიან და სხვებზე უკეთ ხსნიან
საქმეს. მაგრამ იმულებული ვართ ამით ჩვენე-
ბაც შემოკლებით მოვიყვანოთ. დანარჩენ
ბრალდებულებზედ უნდა ვთქვათ, რომ ყველამ
გულ-წრფელათ უამბო ამ საქმის გარემობა,
რაც კი იცოდნენ, არავის არც ერთი წერილ
მანი შემთხვევა არ დაუმალავს სასამართლო-
სათვის. ტუნცეცოვი და ნეკოლაევა მაინც
განსაკუთრებით გულწრფ ლობა გამოიჩინეს.

პირველათ უსპენსკისთვის უნდა ჩამოერთ-
მათ ჩვენება, მაგრამ ამან ორჯელ სთქვა უა-
რი, რომ, სისუსტის გამო, ლაპ. რაკი არ შე-
მიძლიაო. შოლოს, იელი ის ვ.ს., უსპენსკიმ
გან. ცხადა ჩვენების სურვილი. იმან დიწყო
ლაპარაკი ძალიან წყნარი ხმით; ციხეში ჯღო-
მის დროს გული დასუსტებოდა და ხმა-მალ-
ლა ლპარაკს ვერ ახერხებდა.

უსპენსკი. მე მუდამ მოსკოვში ვსცხო-
ვრობდი და ვიყავი იქ პოზერნის წიგნის მა-
ღაზიში პრიკასიკათ. ჩემთან დაიარებოდნენ
ჩემი ამხანაგები და სალიტერატურო საუბრე-
ბი გეკრანდა. 1868 წელს მე წავედი პეტერ-

ბურღში და იქ პირველათ გავიცანი ტაჩოვი.
1869 წ. პოზერნის წიგნი მალაზია ჩერქე-
ზოვმა იყიდა და იმის გამგებობა მე მომანდო.
მე და ტაჩოვის მხოლოთ წიგნების თაობაზე
გვექანდა ერთმანერთში მისწორ-ძოწი და ცნო-
ბა. ამას იმეტომ დავბობთ, რომ არასდები
აქტი სტუდენტების არეულობაში. მოწანილე-
ობის მიღებას მარბალებს. მი და მოლხოვის-
კიმ იმ დროს დიდი უქმყოფილება გამოვაც-
ხადით სტუდენტების ისტორიის თაობაზე.
თუმც ჩვენ თანაურდნობდით იმათ წადილს,
თუმც ჩვენი აზრით, კასა და კრებები სტუ-
დენტებისთვის აუცილებლათ საჭირონი იყე-
ნენ, მაგრამ არ მოგვეწონდა ის სახსრები, რომ-
მლითაც სტუდენტებს ჰსურდათ ამ წადილის
შესრულება. ჩვენ იმის გვეწინაოდა, რომ მმარ-
თებლობა უაზრებო მოუჭერდა ხელს. რამდე-
ნიმე ჩემი ამხანაგები გაადგეს მაშინ პეტერ-
ბურღში და მსკოვში. ამ დროს მოვი-
და ჩემთან პაროვი და გამაცნო ერთი უც-
ნობი პირი, რომელიც პავლოვით დაასახელა.
მე ვეკობდი, ეს პავლოვი ნეჩაევი მეგონა, რომ-
მელიც იმ დროს გაიქცა პეტერ-პავლის ცხიდად,
დაამის თაობაზე რამდენჯერმე ვითებ პაროვს
მაგრამ. ის მეუბნებოდა ეს ნეჩაევი არ არისო.
ამის შემდგომ, 1869 წელს, ნეჩაევი მოვიდა
ჩემთან წიგნის მალაზიაში და მთხოვა, გამაც-
ნო ვინმე პეტროვის აკადემიის სტუდენტიო.
მე ვაგვანებე ის ღლოვკოვთან. მეორე დღეს
ის კიდევ მოვიდა ჩემთან შინ და ამის შემ-
დეგ თითქმის ყოველდღე დაიარებოდა. აქ
დავიწყეთ ჩვენ სხვა და სხვა საგნებზე სჯა და
ბაასი, რომელსაც სრულათ არ მოვიყვან, რად-
გან ბევრ დროებას მოიხსოვს. მიტყვი მხო-
ლოთ ორიოდ სიტყვას იმ განსხვავებაზე,
რომელიც სჩანდა ჩემსა და ნეჩაევის მსჯელო-
ბაში. ხალხის წარმატებისათვის მე ყველაზე
უფრო საჭიროთ სახალხო შკოლები, ასოცია-
ციები და სხვა ამისთანა საშუალებები მიმიჩნ-
და. ნეჩაევი კი ხალხის შევლას მხოლოთ რე-
კოლიუციისაგან მივლოდა; ამ აზრის დასამტ-
კეცებლათ ის ამბობდა, რომ მმართველობა
ერთის ხელით ხსნის სასაფლო შკოლებსა და
მეორეთი კი ბრძანებას სცემს, რომ ამ შკო-
ლაში უნივერსიტეტში კურს შესრულებულ
ახალგაზღვებმა არ ასწავლონო. მე არ შემეძ-
ლო ამის წინააღმდეგი რამე მეტქვა, რადგან
ვიცოდი, რომ ტეშმარტების ამბობდა; მაგრამ
მაშინ კიდევ მე არ ვეთანხმებოდი იმას საი-
დუმლო საზოგადოებაში შესვლაზე. მე შევე-
დი ამ საზოგადოებაში მხოლოთ მაშინ, რო-
ცა ვაფიქვ, რომ იმას ბევრი წევრები ჰყავს.
პი მიხვებები, რომლის გამოც მე ვაგვდი საი-
დუმლო საზოგადოების წევრათ: გამოვედი თუ
არა შკოლიდან, მე მუდამ ისეთ ახალგაზდა
მოსწავლეებში და სტუდენტებში ვსცხოვრო-
ბდი, რომელთაც პოლიცია ათასწიარათ სდევ-
ნიდა. მე შემიძლია ასიდამ ასორმოცდა ათამ-
დი (100—150) ისეთი ყმაწვილი კაცების და-
სახელება, რომელნიც ვაგზავნილი არიან სი-
ბირში თუ კატორაზე, თუ დასახლებულათ
მორავულ გუბერნიებში და გადებული არი-
ან სატ. ხტო ქალაქებში. რასაკვირველია, რომ
მე არ შემეძლო გულ-გრილათ მეყურებინა ამ
გარემობისათვის, არ შემეძლო თანაგრძნო-
ბა არ გამომეცხადებია ამ დევნულებისათვის.
ეს კიდევ არაფერი: უკანასკნელ დროს ისე-
თი დევნა შეიქნა, რომ ვერაფერ ვერ იტყო-
და — დატუსალების ან ქალაქიდან გადღების არ
მეშინიაო, თუმც არაფერი არ მისჩინოდეს თა-
ვის თეი დამაშავედ.

ამიტომ როდესაც დამიჭირეს, სრულიადაც
არ გამიკირდა: მე დიდი ხანია მოველოდი
ჩემ დაჭერას, თუმცა არავითარ მიზეზს არა
ეხდავდი. როგორც კაცი, რომელსაც მუდამ
ქურდა ეძახიან, მართლა ქურდი ხდება, ისე
მეც შევედი ამ საიდუმლო საზოგადოებაში.
ამ დროსვე დაატუსაღეს ჩემი თუთხმეტი
წლის და. ცხრა თვე იყო ის სულ ტყუილ-უბ-
რალოთ პეტერ-პავლის ციხეში დამწყდ. უ-
ლი. მე და ზოგი ჩემი ნაცნობები ვცდილობ-
დით იმის განთავისუფლებას, მაგრამ არაფერი
არ გამოვიდა. შას გარდა ერთ ჩემ ნაცნობ
ახალგაზდა ქალს, ანტონოვისას, ავთამყო-
ფობაში სტავეს ხელი და ქუთა შკოლებ-
თან ერთად ჩასვეს. ამ დროსვე საღაცა გა-
გზავნეს ერთი ჩემი მეგობარი სწავლული,
რომელმანც თავის საცოცხლე მეცნიერებას
შესწირა და რომელსაც სულ ტყუილ-უბ-
რალოთ სტუდენტების ისტორიაში მოწა-
წილობის მიღება შესწამეს. შინ იცის, კიდევ
რამდენი ამისთანა მაგალითები მახსოვს მე,
რომელნიც ნადევლს ბირევენ. მე ვერ შე-
მეძლო გულ-გრილათ მომესმინა ყველა ამბე-
ბი, რომელიც საიდუმლო პოლიციის მოქ-
მედებზედ დაიდოდა. ბოლოს ჩემი დამწყდუ-
ელი დიაგან მომივიდა წიგნი, რომლიდანაც
სჩანდა, რომ იმის დამწერი კუთაზე შემდილი-
ყო.

შეგლა ამ გარემობებმა მიძულეს მე სო-
დუმლო საზოგადოებაში შესვლა, მე დაუბ-
ლოვდი ნეჩაევის, რომელმანც გადამცა პო-
კლამაციები, შიჭრით დაწერილი წიგნი, ზო-
გერთი პირების ადრესები და სხვა. მაგრამ ამ

დროს მე მალაზიაში ბევრი ჩემი საქმეები
მქონდა და ამიტომ საზოგადოებაში შედგენ-
მონაწილეობას არ ვიღებდი. ამის შემდეგ ჩე-
ნი საზოგადოებისათვის წევრების თანახმით
თან ნეჩაევა იკისრა. ის დაიარებოდა აკადე-
მიაში და გაიქნო იქ ღლოვკოვი, ივანოვი,
რამანდი და ტუნცეცოვი. ამ პირებიდან შეს-
დგა „ცენტრალური განყოფილება“, რომელ-
საც მე წაუკითხე ჩვენი საზოგადოების წეს-
დებულებანი და ზოგი პოკლამაციები. თითო-
ეულს ამ განყოფილების წევრს ცალკე საქმე
ჰქონდა მინდობილი: ივანოვმა იკისრა აკადე-
მის სტუდენტებში ჩვენი აზრების გავრცე-
ლება და წევრების მოპოება, ტუნცეცოვს ვა-
ჭრებში უნდა ემოქმედნა, პრიყვას მდამბო
ხალხში და სხვა.

ახლა იტყვი ორიოდ სიტყვას ივანოვის
მოკვლის თაობაზე. ივანოვა იცოდა ჩვენი
წესდებულება, იმან იცოდა, რომ ყოველ წე-
ვრს განუკითხავი ნდობა უნდა ჰქონოდა მო-
თავე პირისა და საიდუმლოთ შეენახა თავის
გულში ყველაფერი, რაც კი იცოდა საზოგა-
დოებაზე. შეგლა ისე იქცოდა, როგორც ეს
წესდებულება თხოულობდა; მაგრამ ივანოვი კი
საშინელი ქირვეული, ჩხუბის მოყვარე და
უხასიათო კაცი იყო; თავიდანვე ყველაფერს
ჩვენ მოქმედებში გვეწინააღმდეგებოდა, თითო-
უნდოდა ჩვენი საქმეები ჩაფუშა. აქვე უნდა
ვთქვა რამდენიმე სიტყვა ნეჩაევი და აე-
ხსნა თუ როგორ დაიმსახურა იმან ჩვენში
სახელი. პირველი ნეჩაევის სახელის გათქმის
მიზეზი ის იყო, რომ გამოიქცა პეტრო-პავ-
ლოვის ციხიდან და მღვდლის პოლიციას და-
უსხლტა ხელიდამ. შეგლაზე უფრო გააქცეწა
ნეჩაევის სახელი „მოსკოვის უწყებების“ რედა-
ქტორმა, პატარვამ რომელმანც, მთელი მო-
წინავე სტატია დაბეჭდა იმაზე. ნეჩაევი მოვი-
და მოსკოვში, ჩვეთან, როგორც შენევის
საზოგადოებისაგან გამოგზავნილი პირი (გენ-
ტი). იმას ჰქონდა საშინელი ენერგია, თე-
ვადამდებული იყო თავის საქმისთვის, იმის აღ-
სრულებისათვის არაფერს არ ზოგავდა, მაგ-
რამ პირად მტრობა კი არავის არა ჰქონდა
და ჩვენი წესდებულების ძალით არც შეიძლე-
ბოდა ჰქონოდა. არც სხვას ჩვენთან არა-
ვის არა ჰქონია ივანოვის მტრობა. ჩვენ ყე-
ლანი ვხედავდით, რომ ის გელატობდა,
ერთობ ბევრს ლაპარაკობდა ჩვენს საზოგა-
დოებაზე და, როგორც ვატყობდით, ვაცემდა
გვიპირებდა, ნეჩაევა სთქვა რომ ამისთანა
პირები უნდა მოვიშოროთ თავიდანაო. ამ
დროს ნეჩაევი პეტერბურღში წასვლას ემზა-
დებოდა და მე მომანდო — იმანართ მომიგე-
რა საქმე, რომ ივანოვს ჩვენი საზოგადოების
ენება არ შესძლიებოდა; მაგრამ იმ დღეს რა
დღესაც ნეჩაევი წასვლას აპირებდა, მე შევი-
ტყე, რომ ივანოვი ჩვენი საზოგადოებიდან
გამოსვლას აპირებდ; ამას ვინ სჩივის — მე
გავიგე, რომ ის აპირებდა მთავრობასთან მი-
ხვლას და ჩვენი საზოგადოების დანიშნულე-
ბის გამხლას. ბაბრახებული მივედი მე ნეჩა-
ევიან და ყველაფერი უამბე. ჩვენ ვადაწყვე-
ტილი გვექანდა, რომ ივანოვი თავიდან უნდა
მოგვეშორებინა და ახლა მხოლოთ ამ განზ-
რახეს აღსრულებაზე მოვალაპარაკეთ. მე ვი-
ცოდი რა საქმეშია ჩადილი, მაგრამ ჩვენი
საზოგადოების მიზნის აღსასრულებლათ მე
თავს არ ვზოგავდი.

ამის შემდეგ უსპენსკიმ მოჰყვა დაწერილი-
ებით — როგორ მოკლეს იმათ ივანოვი პეტ-
როვის აკადემიის ბაღის გამოქვამულში და
შემდეგ როგორ ჩაბეს ყელში აუფრი და
როგორ ჩათრის იქვე ტბაში. იმის მოთხ-
რობა ამ საქმის თაობაზე არ განირჩევა იმ
მოთხრობიდან, რომელიც ბრალსადებ აქტშია
მოყვანილი და ამიტომ ჩვენ აქ არ მოგვყავს.

(მაგრძელება შემდგომი)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

მიღებულია თფილისში და ისუღება
ათლათოვის და სხვების წიგნების მალა-
ზიებში:

რონგური

ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია
ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლის და სხვა
მწერლების ლექსების კრება
შემოკლებული
ქირილე ლოტოჭივაძისაგან
უხი ერთი მანეთი